



საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

ერეკლე II სასახლის (ბატონის ციხე, თელავი) რესტავრაციის ქვეპროექტი

გარემოსდაცვითი მიმოხილვა

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული
რეგიონული განვითარების პროექტი

თბილისი
ოქტომბერი 2014

აბრევიატურები

WB	მსოფლიო ბანკი
EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
EMP	გარემოსდაცვითი მართვის გეგმა
ER	გარემოსდაცვითი მიმოხილვა
MDF	მუნიციპალური განვითარების ფონდი
MoENRP	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
RDP	რეგიონალური განვითარების პროექტი
SECHSA	ტრატეგიული გარემოსდაცვითი, კულტურული მემკვიდრეობის და სოციალური ზემოქმედების შეფასება
CH	კულტურული მემკვიდრეობა

გარემოსდაცვითი სკრინინგი და კლასიფიკაცია

„ბატონის ციხის“ ქვეპროექტის განხორციელება დაიწყო რეგიონალური განვითარების პროექტის (RDP) ფარგლებში ქალაქ თელავში 2012 წელს. 2012 წლის ბოლოს პროექტი შეჩერდა და სამუშაოები დაკონსერვდა „ბატონის ციხის“ კომპლექსის როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კონსერვაციის სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე.

„ბატონის ციხის“ კომპლექსის კონსერვაციის სამოქმედო გეგმა შემუშავდა 2013 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით და მიღებულ იქნა ბრძანებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებით (#05/78, 11 თებერვალი, 2014). „ბატონის ციხის“ კომპლექსის კონსერვაციის სამოქმედო გეგმა მოიცავს მეფე ერეკლე II სასახლის (რომელიც არქიტექტურული კომპლექსის ცენტრალურ შენობას წარმოადგენს) აღდგენა/რეაბილიტაციის მიდგომებს, პრინციპებსა და მეთოდოლოგიას. რეაბილიტაციის პროექტის დიზაინი „ბატონის ციხის“ კომპლექსის კონსერვაციის სამოქმედო გეგმის მიხედვით შესწორდა. შესწორებული დიზაინი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დამტკიცდა.

განახლდა გარემოსდაცვითი მიმოხილვა, რომელიც მოიცავს მხოლოდ ერეკლე II სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

ერეკლე II სასახლე ქალაქ თელავის ცენტრში მდებარე არქიტექტურული კომპლექსის მთავარი ნაგებობაა. სასახლე თავისი მხატვრული და ისტორიული ფასეულობის გამო კახეთის კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს.

ერეკლე II სასახლის (ბატონის ციხე) აღდგენის ქვეპროექტი ითვალისწინებს ნაგებობის დაზიანებული ნაწილების გამოცვლას და 1980-იან წლებში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების დროს მიღებული მრავალი არასწორი გადაწყვეტილებების შედეგების გამოსწორებას. უნდა შეიცვალოს სახურავის და აივნების ხის საყრდენი კონსტრუქციები, სახურავის ფენილი, ხის აჟურული ვიტრაჟი, კარები და აგურის იატაკი.

სარესტავრაციო და სამშენებლო სამუშაოების მოცულობა

1. ქართული აგურით იატაკის ნოწყობა -582მ²;
2. აივნების საყრდენი კონსტრუქციების მოწყობა კავკასიური მუხის მასალით- 10.5მ³
3. სახურავის კოჭების მოწყობა რუსული ლარიქსის მასალით – 23.6მ³;
4. სახურავის ხის კონსტრუქციების მოწყობა და შეფიცვრა - 27.3 მ³;
5. სახურავის ფენილის მოწყობა ტიტან-თუთიის არაკოროზიული ფურცლებით - 821მ²;

6. სახურავის მოწყობა კირქვით და სპეციალური წყალგაუმტარი ფენით – 204 მ²
7. მუხის აჟურული კარების და ვიტრაჟების მოწყობა – 228 მ²
8. კედლების შეღესვა ნახშირმჟავა კალციუმის თაბაშირით - 1052 მ²;
9. კედლების შეღებვა წყლის ემულსიური საღებავით – 410 მ²;
10. სხვადასხვა დიამეტრის ორმაგი იზოლაციის ელექტროსადენები - 450 მ.
11. სხვადასხვა ზომის დიოდური (LED) ნათურები – 325 ცალი.

(A) ზემოქმედების განსაზღვრა

აქვს თუ არა ქვეპროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?	პროექტს საგრძნობი პოზიტიური სოციალური ზემოქმედება აქვს
<p>რა არის ქვეპროექტის მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე?</p>	<p>ქვეპროექტს ექნება დადებითი გრძელვადიანი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის რეაბილიტაცია /კონსერვაციის და ტურისტების მოზიდვის კუთხით. რეაბილიტაცია დაიცავს ერეკლე II სასახლეს (რომელიც კულტურული ძეგლების ეროვნულ ნუსხაშია შეტანილი) შემდგომი დაზიანების, ბუნებრივი მოვლენებისგან და კლიმატური პირობების ზემოქმედებისგან. მზარდ ტურისტულ ნაკადებს დადებითი სოციალური ეფექტი ექნება დასაქმების თვალსაზრისით. ქვეპროექტის განხორციელება ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რაც მათ შემოსავლებს გაზრდის.</p> <p>უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება სავარაუდოდ ხანმოკლე და ტიპიური იქნება ურბანულ ლანდშაფტზე მიმდინარე მცირე და საშუალო მასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია და სამშენებლო მანქანა-დანადგარების მუშაობის შედეგად გამოყოფილი გამონაბოლქვები; სამშენებლო ნარჩენების დაგროვება, ტრანსპორტისა და</p>

	<p>ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის დაბრკოლება.</p> <p>მზარდ ტურისტული ნაკადების შესაძლო ირიბი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე: ნარჩენების დაგროვება, ვანდალიზმი და სხვ.</p>
<p>აქვს თუ არა ქვეპროექტს რაიმე მნიშვნელოვანი პოტენციური გავლენა ადგილობრივ ან პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებზე?</p>	<p>არ არის მოსალოდნელი მიწის აღება და განსახლება. გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედება დადებითი იქნება (ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ტურიზმის ზრდა, კერძო ინვესტიციების მოზიდვა ტურისტულ ინფრასტრუქტურაში).</p> <p>უარყოფითი ზემოქმედება ხანმოკლე იქნება და სამშენებლო მოედნის ფარგლებს არ გასცდება – ეს არის ზემოთ აღწერილი შესაძლო დაბრკოლებები.</p>
<p>როგორი ზემოქმედება ექნება ქვეპროექტს ადამიანის ჯანმრთელობაზე?</p>	<p>მცირე უარყოფითი ზემოქმედება – მტვერი, ემისიები, ხმაური და ვიბრაცია მშენებლობის პერიოდში.</p>

(ბ) შემარბილებელი ღონისძიებები

<p>ქვეპროექტის დიზაინის რა ალტერნატივებია განხილული და რა შემარბილებელი ღონისძიებებია შემოთავაზებული?</p>	<p>რადგან ქვეპროექტი ერეკლე II სასახლის აღდგენას ითვალისწინებს არავითარი ალტერნატივა არ არის განხილული.</p> <p>სამშენებლო ეტაპზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება ადვილად შეიძლება შემცირდეს სამშენებლო ტერიტორიის დემარკაციით, მოძრაობის მენეჯმენტით, სამშენებლო მანქანა-დანადგარების კარგი მოვლა, დადგენილი სამუშაო საათების დაცვა, და ნარჩენების კარგად ორგანიზებული გატანა ოფიციალურად შეთანხმებულ ადგილებზე.</p>
<p>წინა ანალოგიური ქვეპროექტებიდან მიღებული რა დასკვნები იქნა</p>	<p>ერეკლე II სასახლის აღდგენის პროექტის დიზაინში შესწორებები იქნა შეტანილი „ბატონის ციხის“ კომპლექსის</p>

გათვალისწინებული პროექტის დიზაინში?	კონსერვაციის სამოქმედო გეგმის მიდგომების, პრინციპებისა და მეთოდოლოგიის მიხედვით.
მონაწილეობენ თუ არა თემები ქვეპროექტში და გათვალისწინებული იყო თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა ქვეპროექტის მომზადებისას?	<p>თელავის მოსახლეობას ვაცნობეთ კულტურული მემკვიდრეობის ინტეგრირებული ადდგენის გეგმების შესახებ თელავში კახეთის გამგებლის ოფისში გამართულ შეხვედრაზე (03.02.2012) და დადებითი გამოხმაურება მივიღეთ.</p> <p>ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მართვის გეგმა ხელმისაწვდომი იყო ქ. თელავის მოსახლეობისთვის და მისი საჯარო განხილვა ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრაზე 2014 წლის 6 ოქტომბერს. შეხვედრის ოქმი თან ერთვის გარემოსდაცვითი მიმოხილვის დოკუმენტს.</p>

(D) კატეგორიზაცია და დასკვნა

სკრინინგის შედეგებზე დარყდნობით

ქვეპროექტს მიენიჭა გარემოსდაცვითი კატეგორია

A

B

C

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვეპროექტი უარყოფილია
2. ქვეპროექტი მიღებულია

მიღების შემთხვევაში და რისკის შეფასებაზე დაყრდნობით ქვეპროექტის მომზადებას ესაჭიროება:

1. გარემოს მართვის საკონტროლო სიის (Checklist) შევსება მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო აქტივობებისთვის
2. გარემოსდაცვითი მიმოხილვა, გარემოსდაცვითი მართვის გეგმის ჩათვლით

დაშვებული ქვეპროექტების რისკის შეფასება

ბუნებრივი და სოციალური გარემოს მგრძობიარე რეცეპტორები ქვეპროექტის ტერიტორიის ირგვლივ	დიახ / არა?	მნიშვნელოვანი პოტენციური ზემოქმედება / მაღალი რისკი (მონიშნეთ)	დაბალი პოტენციური ზემოქმედება / დაბალი რისკი (მონიშნეთ)
ბუნებრივი ჰაბიტატები, მცირე ეკოსისტემები	არა	ტყეები; ჭარბტენიანი ტერიტორიები; ბუდობის / გამრავლების ადგილები; გადამფრენი ფრინველების დასასვენებელი ადგილები, ველური ბუნების დერეფნები რომლებიც აკავშირებს დაცულ ტერიტორიებს, ციცაბო ფერდობებს, სუბალპურ და ალპურ ზონებს, მწვანე მდელოებს (Green-fields).	ძლიერად ტრანსფორმირებული ქალაქის ან სოფლის ლანდშაფტები, სამრეწველო ადგილები, მეორადი განაშენიანების ადგილები (brown-fields)
		N/A	N/A
ზედაპირული წყლის ობიექტები	არა	ძირითადი მდინარეები და მდინარის ჭალები, ტრანსსასაზღვრო წყლის ობიექტები და მათი შენაკადები, ტბები; პატარა წყლის ობიექტები, რომლებიც მაღალი ღირებულებისაა მოსახლეობისთვის ან ბიომრავალფეროვნებისთვის	პატარა მდინარეები და ნაკადულები, ხელოვნური წყალსაცავები, ტბორები, რომლებიც არ არის განსაზღვრული როგორც მაღალი ღირებულების მქონე მოსახლეობის და ბიომრავალფეროვნებისთვის
		N/A	N/A
მიწისქვეშა წყაროები	არა	რეგიონული / ეროვნული მნიშვნელობის საბადოები, მინერალური ან / და თერმული წყლის რესურსები, გრუნტის წყლების მაღალი დონე (მაგიდა)	გრუნტის წყლების ნორმალური დონე
		N/A	N/A
ფასეული ლანდშაფტები	არა	დაცული ლანდშაფტები, გამორჩეული ესთეტიკური ღირებულების ლანდშაფტები, მწვანე მდელოები (Green-fields), რეკრეაციული ზონები	ძლიერად ტრანსფორმირებული ქალაქის ან სოფლის ლანდშაფტები, სამრეწველო ადგილები, მეორადი განაშენიანების ადგილები (brown-fields)
		N/A	N/A

ფიზიკური კულტურული რესურსები	დიახ	კულტურული ძეგლების ინდივიდუალური თუ საერთო დაცვის ზონები, ისტორიული და ტრადიციული ადგილები (რელიგიური, სამარხი, რიტუალი)	არ არის კულტურული რესურსები
		√	N/A
ადამიანის დასახლებები	არა	20-ზე მეტი დაზარალებული ოჯახი; საჭიროა ფიზიკური რელოკაცია	20 ზე ნაკლები დაზარალებული ოჯახი; ფიზიკური რელოკაცია არ არის საჭირო, მიწის აღება არ არის აუცილებელი
		N/A	N/A
გეოლოგიური საფრთხეები: ძლიერი ეროზია, მეწყერები, წყალდიდობა	არა	რეგისტრირებული	არ არეგისტრირებული
		N/A	N/A
<p>თუ ქვეპროექტის მოსალოდნელი რისკი მაღალია რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი შეფასების კრიტერიუმის მიხედვით, იგი მაღალი რისკის ქვეპროექტად მიიჩნევა. უნდა ჩატარდეს გერემოსდაცვითი მიმოხილვა და შემუშავდეს გერემოსდაცვითი მართვის გეგმა.</p> <p>თუ ქვეპროექტის მოსალოდნელი რისკი არ არის მაღალი, რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი შეფასების კრიტერიუმის მიხედვით, იგი დაბალი რისკის ქვეპროექტად მიიჩნევა. უნდა შეივსოს გერემოსდაცვითი მართვის საკონტროლო სია (Checklist) მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო აქტივობებისთვის</p>			

ქვეპროექტების სოციალური და კულტურული რესურსების სკრინინგი

სოციალური გარანტიების სკრინინგის მონაცემები		დიახ	არა
1	არის თუ არა ქვეპროექტის ტერიტორიის აფილირების და საკუთრების სტატუსის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი და გადამოწმებადი? (ამის გარეშე სკრინინგი ვერ შესრულდება)	✓	
2	შეამცირებს თუ არა პროექტი სხვა ადამიანების წვდომას ეკონომიკურ რესურსებზე, როგორცაა მიწა, სამოვრები, წყალი, მომსახურება ან სხვა რაიმე რესურსი, რომლებზეც ისინი დამოკიდებული არიან?		✓
3	გამოიწვევს თუ არა პროექტი პირების ან ოჯახების განსახლებას, თუ მიწის შეძენის საჭიროებას მოითხოვს (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) დასამუშავებლად?		✓
4	გამოიწვევს თუ არა პროექტი კულტურების, ხეხილის და შინამეურნეობების ინფრასტრუქტურის დროებით ან მუდმივ დაკარგვას (როგორცაა ბედელი, გარე საპირფარეშო, სამზარეულო, და ა.შ.)?		✓
<p>თუ რომელიმე პასუხი დადებითია (გარდა 1–ელი კითხვისა) მაშინ OP/BP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლება გამოიყენება და შემარბილებელი ღონისძიებები უნდა შესრულდეს ამ OP/BP 4.12 და განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს დაცვით</p>			
კულტურული რესურსების დაცვის სკრინინგის მონაცემები		დიახ	არა
5	დასჭირდება თუ არა პროექტს გათხრები რომელიმე ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ტერიტორიაზე?	✓	
<p>თუ მე-5 კითხვაზე პასუხი დადებითია, მაშინ OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები გამოიყენება და შემთხვევით ნაპოვნ საგნებთან მოპყრობა უნდა მოხდეს OP/BP და სათანადო პროცედურების დაცვით, რომლებიც გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩოში.</p>			

გარემოსდაცვითი შეფასება

1. შესავალი

1.1. ზოგადი ინფორმაცია

2010 წლის 25 ივნისს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა (მთავრობის დადგენილება # 172) რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მომზადებული 2010-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგია. სტრატეგიის მთავარი მიზანია შეიქმნას ხელსაყრელი გარემო რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებისთვის. ეს მიზნები მიიღწევა დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით, რეგიონების კონკურენტუნარიანობის გაზრდითა და სოციალურ-ეკონომიკური გათანაბრების გზით.

ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის პოტენციალის უკეთ გამოყენების მიზნით, რომელიც კახეთში არსებობს და შიდა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შესამცირებლად საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკს ფინანსური მხარდაჭერა სთხოვა. რეგიონული განვითარების პროექტი ერთობლივად მომზადდა საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ. ბანკი სესხს გამოყოფს რეგიონული განვითარების პროექტის განხორციელების დასაფინანსებლად.

ერეკლე II სასახლის (ბატონის ციხე) აღდგენის ქვეპროექტი რეგიონული განვითარების პროექტის ნაწილია და მისი მომზადება, განხილვა, დამტკიცება და განხორციელება საქართველოს კანონმდებლობის და მსოფლიო ბანკის პოლიტიკის შესაბამისად უნდა წარიმართოს.

1.2. მუნიციპალური განვითარების ფონდი როგორც განმახორციელებელი ორგანო

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში „ფონდი“) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ინსტიტუციური და ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერებას, ფინანსური რესურსების ინვესტირებას ადგილობრივ ინფრასტრუქტურაში და მომსახურების სფეროში, აგრეთვე ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების გაუმჯობესებას ადგილობრივი მოსახლეობისთვის (თემებისთვის). ფონდი იქნება რეგიონული განვითარების პროექტის განმახორციელებელი ორგანო, რომელიც პასუხს აგებს მის მენეჯმენტზე და ეკოლოგიური და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის შესრულებაზე.

ფონდი მოამზადებს და მსოფლიო ბანკს წარუდგენს დასამტკიცებლად ქვეპროექტის შეფასების ანგარიშებს თანდართული საგარანტიო დოკუმენტებით. ქვეპროექტის რისკის

კატეგორიის მიხედვით (მაღალი ან დაბალი რისკი) გარემოსდაცვით შეფასება შიძლება მოიცავდეს ეკოლოგიურ მიმოხილვას (გარემოსდაცვითი მართვის გეგმის ჩათვლით) – მაღალი რისკის B კატეგორიის შემთხვევაში, ან შემოიფარგლოს გარემოსდაცვითი მართვის ჩეკლისტით მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო აქტივობებისთვის – დაბალი რისკის B კატეგორიის შემთხვევაში.

1.3. მოკლე ინფორმაცია შემოთავაზებული ქვეპროექტის შესახებ

აღწერა და მოკლე ისტორია:

ერეკლე II სასახლე ქალაქ თელავის ცენტრში მდებარე ბატონის ციხის არქიტექტურული კომპლექსის მთავარი ნაგებობაა. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II ამ სასახლეში ცხოვრობდა და გარდაიცვალა. XVIII საუკუნეში ერეკლე II ახალი სიმაგრე ააგო, რომელიც რამდენჯერმე გადაკეთდა XIX-XX ს.ს. სასახლე მდებარეობს ბატონის ციხის ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და ქვის დაბალი კედლით არის გაყოფილი. სასახლე მცირე ეკლესიასთან ახლოს, გალავნის ჩრდილოეთ კედელთან არის აგებული. რუსეთის იმპერიის ბატონობის დასაწყისში მეფის სასახლე სხვადასხვა დანიშნულების გამოიყენებოდა – ბარაკებად, სურსათის საწყობად, საჯინბოდ და სხვ. 1864 წლამდე სასახლე პირვანდელ სახეს ინარჩუნებდა.

1860 წელს ნებეობა საკუთრებაში გადაეცა წმინდა ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებას. მისი თავმჯდომარის ანა ჭავჭავაძის და გრიგოლ ორბელიანის პირადი ინიციატივით საზოგადოების აზრის გაუთვალისწინებლად სასახლის გაუმართლებელი რეკონსტრუქცია განხორციელდა 1864-67 წლებში. 1865 წლამდე სამუშაოები ზალცმანის პროექტით მიმდინარეობდა. ეს პერიოდი ცნობილია სპარსული სტილის ნგრევით. ორი განათების სისტემა შეიცვალა ღიობებით მთელ სიმაღლეზე, რომლებსაც აგურის პროფილები ჩარჩოები აქვს. ზალცმანის პერიოდში მიშენებები გაკეთდა კი და ორ დონეზე დამაგრებული კიბის უჯრედი მოიხსნა. შემდეგ მიშენება დაანგრეს გასასვლელის გასაკეთებლად. 1865 წელს ზალცმანის პროექტი შეჩერდა. სამუშაოები ყოველგვარი პროექტის და არქიტექტორის მეთვალყურეობის გარეშე გაგრძელდა. ამ პერიოდში აღმოსავლეთ აივნის და დერეფნის გამყოფი კედელი მოიხსნა. აშენდა მეორე სართული.

1867 წელს დასრულდა სკოლის რეკონსტრუქცია. შედეგად შეიქმნა მოსაზღვრე ნაგებობების უსისტემოდ განვითარებული კომპლექსი. მიშენებებისა და დაშენებების წყალობით სასახლე არარელევანტურ და ყრუ შენობებს შორის დაიკარგა. 1912 წელს არასისტემურად განვითარებული სასახლის კომპლექსის დასავლეთ ნაწილში 3-სართულიანი მიშენება აიგო.

ამ სახის კომპლექსმა 1981 წლამდე იარსება, როდესაც "გაფართოებულ" მეთოდური საბჭოს (დარგის თითქმის ყველა სპეციალისტი, ხელოვნებათმცოდნეები, აგრეთვე მონათესავე დარგების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ საბჭოში) გადაწყვეტილების საფუძველზე სასახლე გაიწმინდა გვიანდელი მიშენებებისგან. 1912 წელს აშენებული შენობა არ დანგრეულა, მასში თელავის ისტორიული მუზეუმი განთავსდა.

1974-82 წლებში ძეგლს სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა. სარესტავრაციო პროექტის ავტორი იყო ზ. მეღვინეთუხუცესი.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დადგენილებით (#3/46, 23 თებერვალი 2006) და საქართველოს პრეზიდენტის დადგენილებით (#665, 7 ნოემბერი, 2006) ერეკლე II სასახლე ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად იქნა მიჩნეული.

ძირითადი დაინტერესებული მხარეები

გრანტის მიმღები / მსესხებელი: საქართველოს მთავრობა წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ

ადგილობრივი წარმომადგენლობა: ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტი

დაფინანსების წყაროები / დაფინანსება: მსოფლიო ბანკი და მუნიციპალური მთავრობა/ საქართველოს მთავრობა (GOG)

განმახორციელებელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (ფონდი)

განხორციელების სტრუქტურა

მსოფლიო ბანკის სასესხო ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასთან; პროექტის განხორციელების ხელშეკრულება მსესხებლსა (საქართველო) და ფონდს შორის; დაფინანსების საინვესტიციო ხელშეკრულება ბატონის ციხის რეაბილიტაციის დასაფინანსებლად ფონდსა და თელავის მუნიციპალურ მთავრობას (MG) შორის;

2. კანონმდებლობა და რეგულაციები

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად (2008) პროექტი არ საჭიროებს გზმ-ს და გარემოზე ზემოქმედების ნებართვას.

ქვეპროექტთან მიმართებაში გამოიყენება OP/BP 4.01 გარემოსდაცვითი შეფასება და OP/BP 4.11 მსოფლიო ბანკის ფიზიკური კულტურული რესურსები.

რეგიონული განვითარების პროექტისთვის მიღებული ზემოთ აღნიშნული უსაფრთხოების პოლიტიკის და გარემოსდაცვითი მენეჯმენტის ჩარჩოს თანახმად ქვეპროექტს მიენიჭა B (+) კატეგორია და საჭიროებს გარემოსდაცვითი მიმოხილვის და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მომზადებას SECHSA და EMF რეკომენდაციების დაცვით.

„კულტურული მემკვიდრეობის“ შესახებ კანონის თანახმად საჭიროა ნებართვის აღება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოს ჩასატარებლად საჭიროა ნებართვის აღება.

ეროვნული მარეგულირებელი სისტემის თანახმად:

- (i) სამშენებლო მასალები ლიცენზირებული პროვაიდერებისგან უნდა იქნას მიღებული;
- (ii) თუ კონტრაქტორს სურს კარიერების გახსნა ან მასალის მოპოვება მდინარის კალაპოტიდან (სხვა პროვაიდერებისგან მათი შეძენის ნაცვლად), მაშინ კონტრაქტორმა ლიცენზიები უნდა მოპოვოს.
- (iii) თუ კონტრაქტორი სურს საკუთარი ბეტონის ქარხანა აამუშაოს (სხვა პროვაიდერებისგან ბეტონის შეძენის ნაცვლად), მაშინ კონტრაქტორმა უნდა მოამზადოს ტექნიკური ანგარიში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციაზე და გარემოს დაცვის სამინისტროსთან შეათანხმოს.
- (iv) სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე გატანა ან სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს გენერირებული უნდა ინერტული მასალების მუდმივი განთავსება ადგილობრივი (საქალაქო) მმართველობის ორგანოების წერილობითი ნებართვით ხორციელდებოდეს.

ექსტაქციის ლიცენზიების, ბეტონის ქარხნის მუშაობის ნებართვის (არსებობის შემთხვევაში) და ნარჩენების განთავსების ნებართვის ასლები თან უნდა დაერთოს ამ გარემოსდაცვით მიმოხილვას როდესაც კონტრაქტორი შეირჩევა და სამუშაო ადგილზე მობილიზდება.

საჭიროა თელავის ისტორიული მუზეუმის ადმინისტრაციის წერილობითი ნებართვა მუზეუმის ნივთების სათანადო განთავსებასა და შენახვაზე, რომლებიც ამჟამად სასახლის სარდაფშია.

3. ქვეპროექტი

საპროექტო ტერიტორია აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს, კახეთის რეგიონის ქალაქ თელავში, თბილისიდან 150 კმ. იქ მისასვლელი გზაა თბილისი-ბაკურციხე-თელავის გზატკეცილი.

სასახლის ადდგენის პროექტი ითვალისწინებს ნაგებობის დაზიანებული ნაწილების გამოცვლას და და 1980-იან წლებში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების დროს მიღებული მრავალი არასწორი გადაწყვეტილებების შედეგების გამოსწორებას. გამოსწორებას. უნდა შეიცვალოს სახურავის და აივნების ხის საყრდენი კონსტრუქციები, სახურავის ფენილი, ხის აჟურული ვიტრაჟი, კარები და აგურის იატაკი.

სარესტავრაციო და სამშენებლო სამუშაოების მოცულობა

1. ქართული აგურით იატაკის ნოწყობა -582მ²;
2. აივნების საყრდენი კონსტრუქციების მოწყობა კავკასიური მუხის მასალით- 10.5მ³

3. სახურავის კოჭების მოწყობა რუსული ლარიქსის მასალით – 23.6მ³;
4. სახურავის ხის კონსტრუქციების მოწყობა და შეფიცვრა - 27.3 მ³;
5. სახურავის ფენილის მოწყობა ტიტან–თუთიის არაკოროზიული ფურცლებით - 821მ²;
6. სახურავის მოწყობა კირქვით და სპეციალური წყალგაუმტარი ფენით – 204 მ²
7. მუხის აჟურული კარების და ვიტრაჟების მოწყობა – 228 მ²
8. კედლების შელესვა ნახშირმჟავა კალციუმის თაბაშირით - 1052 მ²;
9. კედლების შეღებვა წყლის ემულსიური საღებავით – 410 მ²;
10. სხვადასხვა დიამეტრის ორმაგი იზოლაციის ელექტროსადენები - 450 მ.
11. სხვადასხვა ზომის დიოდური (LED) ნათურები – 325 ცალი.

მანქანა–დანადგარები:

#	სახელწოდება	რაოდ.	შენიშვნა
1	სატვირთო ამწე	1	მასალების გადაადგილებისთვის სახურავთან დაკავშირებული სამუშაოების დროს
2	თვითმცლელი	2	ნიხსბუკუ მასალების გასატანად, სამშენებლო ნარჩენების განთავსებისთვის
3	სატვირთო მანქანა	2	ტვირთის გადასაზიდად
4	ბეტონის ვიბრომანქანა	2	ბეტონის სამუშაოებისთვის

კონტრაქტის ხანგრძლივობა: 12 თვე
სავარაუდო ღირებულება 1,728,852 ლარი

4. საბაზისო გარემოსდაცვითი პირობები

4.1.ფიზიკური–გეოგრაფიული აღწერა, გეოლოგია, გეომორფოლოგია, სახიფათო გეოლოგიური პროცესები

ზოგადი ფიზიკური–გეოგრაფიული აღწერა

კახეთი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება რუსეთის ფედერაცია (ჩეჩნეთი და დაღესტანი), აღმოსავლეთით აზერბაიჯანი, სამხრეთით საქართველოს რეგიონები - მცხეთა მთიანეთი, დასავლეთიდან კი ქვემო ქართლი.

კახეთის ტერიტორიის ფართობია 11040,6 კმ² იგი საქართველოს ტერიტორიის 16,6% შეადგენს. კახეთი 8 ადმინისტრაციული რაიონისგან შედგება.

თელავი, ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში – მდებარეობს გომბორის მთის ძირში ჩრდილო–აღმოსავლეთ ნაწილში, ალაზნის ველზე. თელავი კახეთის რეგიონის და

თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია. თელავი არის თბილისი-თელავის სარკინიგზო ხაზის ბოლო სადგური, იგი მდებარეობს 550-800 მ. ზღვის დონიდან, თბილისიდან 158 კმ მანძილზე. დაარსდა (და ქალაქის სტატუსი მიიღო) 1801 წელს. მოსახლეობა 21.8 ათასი (2002 წლის მონაცემებით).

თელავის რაიონში 24 სოფელია.

მორფოლოგიური, გეოლოგიური, ტექტონიკური და ჰიდროგეოლოგიური პირობები

კახეთი რეგიონი სამი დიდი გეოტექტონიკურ ბლოკისგან შედგება: აღმოსავლეთ ზონაში – კავკასიონის მთავარი ქედის ანტიკლინორიუმის ლიოსის დანალექი შრე.

ყაზბეგი–ლაგოდეხის ზონა: კავკასიონის სამხრეთ ფერდობის ნაოჭა სისტემის ქვედა და შუა იურული შრეები და და მესტია–თიანეთის ზონა: ზედა იურული და ცარცის ფლიში, რომელიც ორ ქვეზონად იყოფა, (ჟინვალის–გომბორის და ალაზნის ჩავარდნილი ზონები);

საქართველოს ფილის აღმოსავლეთ ჩავარდნილი ზონა (მთათაშორისი დებრესია), რომელიც წარმოდგენილია გარე კახეთის სუბზონით კახეთის ფარგლებში.

თელავის ლანდშაფტი თვალწარმტაცია. ქალაქი ყველა მხრიდან მშვენიერი პეიზაჟებით არის გარშემორტყმული. სამხრეთით და სამხრეთ–დასავლეთით ცივგომბორის ქედია, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით კი ალაზნის ველი ესაზღვრება. ალაზნის ველის ჩრდილოეთით მდებარე დიდი კავკასიონის ქედი მთელი ქალაქიდან ჩანს.

ცივგომბორის ქედი დიდი ახალგაზრდა ანტიკლინია, რომელიც განვითარებულია პლიოცენური მოლასების დანალექების სუბსტრატაზე. ეს დეპოზიტები, უწესრიგოდ დაშრევებული, განლაგებულია ცარცულ და პალეოგენურ კომპლექსურ–დაკეცილ ფლიშის დეპოზიტებზე. ცივგომბორის ქედის თხემის ნაწილში და მისი ჩრდილოეთის ფერდობის ზედა საფეხურზე ბრტყელი–ტალღოვანი წყალგამყოფების და დენუდაციური ზედაპირების ფრაგმენტებია შემორჩენილი. მისი ზედაპირები დანაწევრებულია გარღვეული ხეობებით რომლებსაც ახასიათებს ძლიერი ღვარცოფული პროცესების განვითარება;

სახიფათო გეოლოგიური პროცესების ზოგადი შეფასება

კახეთის რეგიონის სამხრეთი ნაწილი მდებარეობს 7 ბალის ინტენსივობის სეისმურ ზონაში, ცენტრალური ნაწილი, რომელიც მოიცავს დედოფლისწყაროს და საგარეჯოს მიეკუთვნება 8 ბალიან ზონას, სიღნაღი და საგარეჯო – 8 და 9 ბალიანი ზონების საზღვარზე, ჩრდილოეთ ნაწილი – თელავის, იყალთოს, ახმეტის, ყვარელის ჩათვლით ასევე თუშეთი ხვდება ყველაზე მაღალი რისკის ზონაში, 9 ბალის ინტენსივობით.

ქვეპროექტის ტერიტორიაზე არ არსებობს გეოლოგიური საფრთხის შემცველი და სახიფათო გეოლოგიური პროცესების ადგილები.

კლიმატი

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქს. ალაზნის ვაკეზე ჩამოყალიბებულია ზომიერად ნოტიო ჰავა ცხელი ზაფხულითა და ზომიერად ცივი ზამთრით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 12°, აბსოლუტურ მაქსიმუმი 39°, ნალექები 700-800 მმ წელიწადში.

ჰიდროლოგია

ქალაქი თელავი მდებარეობს მდინარე ალაზნის აუზში, რომელიც სიდიდით მეორე მდინარეა საქართველოში, სათავეს იღებს აქვს კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობებზე 825 მ ზღვის დონიდან, სადაც ორი მდინარე წიფლოვანისხევი და სამყურისწყალი ერწყმის ერთმანეთს სოფელ კადორთან. მდინარე ჩაედინება მინგეჩაურის წყალსაცავში გარე კახეთის პლატოს აღმოსავლეთ ნაპირზე. მდინარის სიგრძე 351 კმ., ჯამური ვარდნა 745 მ., საშუალო დახრა 2.1% ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი 11800 კმ².

ნიადაგები

ალაზნის მარცხენა მხარეზე ჩამოყალიბებულია მდელო-ტყის ალუვიური უკარბონატო ნიადაგი. მარჯვენა მხარეზე კი ალუვიური კარბონატული ნიადაგი. მთისწინეთის ზონაში განვითარებულია ყავისფერი ნიადაგი. კახეთის კავკასიონისა და ქედების კალთების ქვემო ნაწილში ფართოფოთლოვანი ტყის ქვეშ, გავრცელებულია ტყის ყომრალი ნიადაგი.

5. პოტენციური ზემოქმედების ანალიზი

5.1. მშენებლობის ფაზა

სოციალური ზემოქმედება

- **ზოგადი სოციალური საკითხები.** სარეაბილიტაციო სამუშაოების მნიშვნელოვანი სოციალური ზემოქმედება, როგორცაა ადგილობრივი დემოგრაფიულ სტრუქტურის ცვლილება, ახალ მოსახლეთა შემოღობვა, მეორადი განვითარება, დასაქმება, შიდსის რისკების ზრდა არ არის მოსალოდნელი.
- **განსახლების საკითხი.** პროექტი არ გულისხმობს კერძო მიწის შეძენას და არ არის მოსალოდნელი მუდმივი ზემოქმედება კერძო ან იჯარით აღებული სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, კერძო აქტივებზე ან ბიზნესზე.
- **მშენებელი მუშების დასაქმებასთან დაკავშირებული დადებითი ზემოქმედება.** შეზღუდული და დროებითი.
- **ხმაურთან, გამონაბოლქვებთან და ვიბრაციასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის საკითხები.** შეზღუდული და დროებითი.

- **ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვა.** ადგილობრივი მიმოსვლაზე მოსალოდნელია შეზღუდული და დროებითი ზემოქმედება.
- **უსაფრთხოების და წვდომა.** რეაბილიტაციის ფაზაში შემცირდება წვდომა სამშენებლო მოედნის მიმდებარე ტერიტორიებზე, იქნება პოტენციური რისკი მანქანებისა და ფეხით მოსიარულეთათვის. სამშენებლო სამუშაოების დროს მოსალოდნელია უმნიშვნელო უარყოფითი ზემოქმედება სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთათვის სკოლაზე მისვლისას, რომელიც ბატონის ციხის ტერიტორიაზე მდებარეობს.

გარემოზე ზემოქმედება

სამშენებლო მასალების და ნარჩენების არასათანადო მოპყრობა, შენახვა, გამოყენება და განთავსება წყლის/ ნიადაგის დაბინძურების საფრთხეს შექმნის სამშენებლო მოედანზე და სასაწყობე ადგილზე. დანადგარების არასწორი შენახვა და საწვავის ჩასხმა ასევე პოტენციური საფრთხის შემცველია ნიადაგისა და გარკვეულწილად წყლისთვის (უსახელო სეზონური ნაკადის გადაკვეთასთან ახლოს). ეს უკანასკნელი ზემოქმედება ნაკლებად სავარაუდოა.

ნიადაგის დაბინძურება

პროექტის პოტენციური დამაბინძურებლებია (ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის):

- სამშენებლო მანქანა-დანადგარების დიზელის საწვავი, საპოხი ზეთები, ჰიდრაულიკური სითხეები, ანტიფრიზი და ა.შ.;
- სხვადასხვა დამაბინძურებლები (მაგალითად, ცემენტი და ბეტონი);
- სამშენებლო ნარჩენები (შესაფუთი მასალები, ქვები და ხრეში, ცემენტი და ბეტონის ნარჩენები, ხის ნარჩენები და ა.შ.);
- ძალზე მცირე რაოდენობის სახიფათო ნარჩენები (მაგალითად, ნარჩენი ზეთი, ზეთიანი ჩვრები, ნახმარი ფილტრები, დაბინძურებული ნიადაგი, და ა.შ.), რომლებიც ნარჩენების საერთო რაოდენობის დაახლოებით 0.1% შეადგენს.

წყლის დაბინძურება

წყლის დაბინძურება შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა წყაროებმა, მათ შორის:

- საწვავის, ნავთობის ან სხვა მავნე ნივთიერების დაღვრა, განსაკუთრებით მანქანებში საწვავის ჩასხმის დროს
- წყლის სრესურსების ნაპირების და კალაპოტის დაზიანება მძიმე ტექნიკის მიერ მათი გადაკვეთისას
- ჩამდინარე წყალში შეჩერებული ლამი ("მშენებლობის წყალი")
- მანქანა-დანადგარების რეცხვა

დაქცეული სითხე სწრაფად ჩაიღვრება წყლის რესურსებში. იქ მოხვედრისას ძნელი იქნება მისი შეჩერება და სითხე დიდ მოცულობებს დააბინძურებს, ამიტომ მნიშვნელოვანია სწრაფი ქმედების განხორციელება რაიმე ინციდენტის შემთხვევაში.

ჰაერის დაბინძურება და ხმაური

ჰაერის დაბინძურების პოტენციური საფრთხე მინიმალურია და უკავშირდება მანქანებისა და მძიმე ტექნიკის მუშაობას სამშენებლო მოედანზე და მასალების ტრანსპორტირებას.

- მანქანებისა და მძიმე ტექნიკის მუშაობით გამოწვეული ხმაური
- გამონაბოლქვები (მანქანებიდან და სხვ.)
- მტვერი (მანქანებისგან);
- კვამლი, მასალების ტრანსპორტირებისას.

სამშენებლო ნარჩენები

ინერტული და არასახიფათო სამშენებლო ნარჩენები

აქტივობების განხორციელებისას მოსალოდნელია შემდეგი სახის ინერტული და არასახიფათო სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა:

- ინერტული (მინერალური) სამშენებლო ნარჩენები;
- მოხსნილი ძველი ხის მასალები;
- მოხსნილი აგურები, თაბაშირის ბათქაში, შუშა
- მოხსნილი “Robermast“ ფენა, თუნუქი, კირი და ცემენტის ბათქაში, სახურავის ბიტუმის ნარჩენები.

სახიფათო სამშენებლო ნარჩენები

უმნიშვნელო სახიფათო სამშენებლო ნარჩენები წარმოიქმნება ძირითადად მანქანების მუშაობის შედეგად, ესენია:

- თხევადი საწვავი;
- საპოხი ზეთები, ჰიდრავლიკური სითხეები;
- ქიმიკატები, როგორცაა ანტიფრიზი;
- დაბინძურებული ნიადაგი;
- გაჟონვის კონტროლის მასალები, რომლებიც დაღვრილი ზეთის და ქიმიკატების ადსორბციისთვის გამოიყენება;
- მანქანის/ძრავის ფილტრის კარტრიჯები;
- ზეთიანი ჩვრები, ნახმარი ფილტრები, დაბინძურებული ნიადაგი და სხვ.

ტრანსპორტთან დაკავშირებული ზემოქმედება

- ხმაური & ვიბრაცია
- საგზაო მოძრაობის გადატვირთვა (დისკომფორტი)
- ჰაერის დაბინძურება
- გზებზე ტალახი
- მანქანებში საწვავის ჩასხმა, მოვლა და რეცხვა, ამასთან დაკავშირებული წყლისა და ნიადაგის დაბინძურების საფრთხე.

ფიზიკურ კულტურულ ფასეულობაზე ზემოქმედება

ქვეპროექტი განხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის ტერიტორიაზე, სადაც აგრეთვე ისტორიული მნიშვნელობის ნაგებობებია განლაგებული. აღდგენასთან დაკავშირებული რისკებია: ძველი ნაგებობების დაზიანება ვიბრაციის გამო; ისტორიული და ესთეტიკური ობიექტების დაზიანება. ექსპლუატაციის (ოპერირების) ფაზაში რისკები დაკავშირებულია შემდეგ ფაქტორებთან: ვიზიტების მართვა, სარეაბილიტაციო სასახლის დაცვა არახელსაყრელი შენახვის პირობებისგან, ვანდალიზმის თავიდან აცილება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა.

6. გარემოსდაცვითი მართვის გეგმა

წინამდებარე გარემოსდაცვითი მართვის გეგმა მიზნად ისახავს ქვეპროექტის მსვლელობისას გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანას.

6.1. შემარბილებელი ღონისძიებები

მშენებლობის ფაზა

რეაბილიტაციის პროცესში რიგი შეზღუდვები და შემარბილებელი ღონისძიებები უნდა იქნეს გათვალისწინებული:

1. მანქანა-დანადგარები მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით უნდა მოძრაობდეს;
2. ბატონის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე მაქსიმალური სიჩქარე შეიზღუდება;
3. მანქანა-დანადგარების მოძრაობის სიხშირე შეიზღუდება;
4. მანქანა-დანადგარების სადგომი უნდა მოეწყოს კულტურული მემკვიდრეობის ტერიტორიის გარეთ; დაუშვებელია ტერიტორიაზე მანქანების დატოვება სამუშაო საათების შემდეგ;
5. სამშენებლო მასალები ლიცენზირებული პროვაიდერებისგან უნდა იქნას მიღებული. კონტრაქტორი ვალდებულია ფონდს წარუდგინოს ლიცენზიების, ნებართვების, წერილობითი შეთანხმების, სერტიფიკატების და ა.შ. ასლები, რათა დაამტკიცოს, რომ ყველა მასალა მიღებულია ლიცენზირებული პროვაიდერებისგან, მათ შორის მუხის მასალა. კონტრაქტორმა არ უნდა დაუშვას ისეთი ჯიშის მუხის მასალების გამოყენება, რომლებიც საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი.
6. აკრძალულია სახიფათო ნარჩენების შენახვა კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო ტერიტორიაზე.
7. სარეაბილიტაციო ეტაპზე წარმოქმნილი რაიმე სამშენებლო ან მუნიციპალური ნარჩენები უნდა გაიტანონ კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო ტერიტორიიდან ყოველი სამუშაო დღის ბოლოს.

8. მობილიზაციის ეტაპზე ყველა მუშა გაივლის სათანადო ტრენინგს მაღალ-სენსიტიურ ადგილზე მუშაობის საკითხებზე. ტრენინგის ჩამტარებელი დაწესებულება და ტრენინგის მოდული უნდა შეთანხმდეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან.

სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში რაიმე საეჭვო საგნის შემჩნევსას სარეაბილიტაციო სამუშაოები შეჩერდება და განახლდება მხოლოდ ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის მიერ ნებართვის გაცემის შემდეგ.

თელავის ს ინვენტარის დროებითი გადაადგილება და უსაფრთხო შენახვა

თელავის მუზეუმი ინვენტარის (რომლებიც ამჟამად სასახლის სარდაფშია) სათანადო გადაადგილება და შენახვა უნდა განხორციელდეს თელავის ისტორიული მუზეუმის ადმინისტრაციის წერილობითი ნებართვის შესაბამისად.

ხმაური

ხმაური ერთ-ერთი ტიპური ზემოქმედებაა, რომელიც სამშენებლო სამუშაოებს უკავშირდება. პროექტის ტერიტორიაზე გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სამშენებლო სამუშაოებისთვის, რომლებიც ისტორიული ძეგლის ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს, რადგან ეს აქტივობები მოიცავს მძიმე მასალების ტრანსპორტირებას, მძიმე ტექნიკის გამოყენებას ძეგლის უშუალო სიახლოვეს.

სპეციალური ზომების მიუღებლობამ და აკრძალვების იგნორირებამ შესაძლოა სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობების სერიოზული ზიანი გამოიწვიოს.

კონტრაქტორმა სამშენებლო ორგანიზაციამ სპეციალური ზომები უნდა მიიღოს, რათა შეთანხმებას მიაღწიოს ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან ტვირთის ტრანსპორტირებაზე.

შემარბილებელი ღონისძიებები

- მძიმე ტექნიკის მოძრაობის შერჩეული მარშრუტი მაქსიმალურად უნდა იყოს დაშორებული ისტორიული ძეგლებიდან და ბატონის ციხის მჭიდროდ დასახლებული უბნებიდან. გამონაკლის შემთხვევაში უნდა განისაზღვროს ტრანსპორტის დასაშვები ინტენსივობა და სიჩქარე;
- ინერტული მასალის შემოტანა უნდა მოხდეს პროექტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ლიცენზირებული კარიერებიდან. ინერტული მასალის და სხვა სამშენებლო მასალის ტრანსპორტირების მარშრუტი შეთანხმებული უნდა იქნეს შესაბამის მუნიციპალურ სამსახურებთან და გადატვირთვისაგან და არ უნდა მოხდეს სატვირთო მანქანების ზედმეტი დატვირთვა და დაშვებული მიმოსვლის ინტენსივობის დარღვევა;

- უსაფრთხოების დონემდე უნდა შეიზღუდოს სატვირთო მანქანების მაქსიმალური სიჩქარე ისტორიული ძეგლების სიახლოვეს მოძრაობისას;
- მანქანა-დანადგარების ტექნიკური კონტროლისა და მოვლა-პატრონობის სათანადო პრაქტიკა უნდა იყოს გამოყენებული;
- აქტივობები დღის საათებში უნდა შესრულდეს;
- აკრძალულია მძიმე მანქანა-დანადგარების ნულოვანი დატვირთვით მუშაობა. საჭიროა სათანადო ხმაურის ჩამხშობების გამოყენება.
- კონტრაქტორმა ორგანიზაციამ სამუშაოების დაწყებამდე უნდა შეიმუშაოს და წარუდგინოს მომხმარებელს რისკის ფაქტორები, მათი შემარბილებელი ღონისძიებები და საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმა;
- საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მომხმარებელთან შეთანხმებული ღონისძიებები დაინტერესებული ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ მათი კომენტარების გათვალისწინებით;

დაბინძურების პრევენციის ღონისძიებები:

წყლის / ნიადაგის დაბინძურება. კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს სამშენებლო მოედანზე წყლის და ნიადაგის დაბინძურების პრევენციის მიზნით:

- აკრძალოს ავტომანქანების მუშაობა წყალში (მაგალითად, უსახელო ნაკადი გადაკვეთის ადგილებთან ახლოს);
- საჭიროა ავტომანქანების შემოწმება, რომ არ ჰქონდეს ადგილი საწვავის და საპოხი ზეთების დაღვრას/გაჟონვას. აუცილებელია მანქანა-დანადგარების მოვლა/რემონტი, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი დაღვრა/გაჟონვა. უნდა ჩატარდეს ყოველდღიური შემოწმებები (მანქანების ტექნიკური მომსახურების პროცედურები) გაჟონვების ან სხვა პრობლემების თავიდან ასაცილებლად. ავტომანქანების მოვლა, დასუფთავება, გაუცხიმოვნება და ა.შ. ჩატარდება დადგენილ ადგილებზე, რომლებიც მოწყობილი იქნება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის გარეთ დაბეტონებულ მოედანზე და არა ნაყარ გრუნტზე. ტექნიკური მომსახურების პუნქტები არ უნდა მდებარეობდეს რომელიმე წყლის ობიექტიდან, ჭიდან ან მშრალი ხეობიდან 50 მ ფარგლებში.
- საპოხი ზეთების, საწვავისა და გამხსნელების გამოყენება და შენახვა მხოლოდ დადგენილ ადგილებში უნდა მოხდეს, რომლებიც მოწყობილი იქნება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის გარეთ, სათანადოდ მოპირკეთებულ ნიადაგზე, შესაძლო ოპერირების და ავარიულად დაღვრილი სითხეების შეკავების უზრუნველყოფით. სამშენებლო მოედანზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრილი სითხეების შემაკავებელი მასალები (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი, ბურბუშელა და სხვ.).

- დაუშვებელია კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის ტერიტორიაზე საპოხი ზეთების, საწვავისა და გამხსნელების შენახვა ან მანქანა-დანადგარებში ჩასხმა;
- კონტრაქტორი ვალდებულია მოაწყოს და გადახუროს მასალის შესანახი ადგილები. ეს ადგილები გაუმტარი მასალით უნდა იყოს დაცული ჩარეცხვისგან ძლიერი წვიმის დროს წყალდიდობის დროს.
- დაუშვებელია სველი ცემენტის და/ან ბეტონის მოხვედრა წყლის ობიექტში, მდინარიდან, აუზში ან არხში.

ნარჩენების მართვა

სამშენებლო მოედნიდან ყველა სახის ნარჩენების განთავსება უნდა განხორციელდეს შეთანხმებულ ნაგავსაყრელებზე გარემოსდაცვითი რეგულაციების დაცვით.

ინერტული და არასახიფათო სამშენებლო ნარჩენები

- კონტრაქტორმა სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოს წერილობითი შეთანხმება შპს "საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიისგან" სამშენებლო ნარჩენების უახლოეს დამტკიცებულ ნაგავსაყრელზე გატანის თაობაზე.
- სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვაში ჩართული პერსონალი გაივლის სპეციალურ ტრენინგს შემდეგ საკითხებზე:
 - ნარჩენებთან მოპყრობა
 - ნარჩენების გადამუშავება
 - ნარჩენების დროებითი შენახვა
- აკრძალულია ნარჩენების დაწვა ქვეპროექტის ტერიტორიაზე;
- ნარჩენების გატანის შესახებ ჩანაწერები შენარჩუნებული იქნება როგორც სწორი მართვის მტკიცებულება.

სახიფათო ნარჩენები

- კონტრაქტორმა სამუშაოების დაწყებამდე უნდა დადოს წერილობითი შეთანხმება ლიცენზირებულ კომპანიასთან სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებაზე, მოპყრობაზე და განთავსებაზე;
- სახიფათო ან ტოქსიკური ნარჩენების დროებითი შენახვა უსაფრთხო კონტეინერებით იწარმოებს, რომლებსაც ექნება ეტიკეტები შიგთავსის შემადგენლობის, თვისებებისა და მოპყრობის შესახებ ინფორმაციით.
- სახიფათო ნარჩენები უნდა მოთავსდეს გაუმტარ კონტეინერში, რათა თავიდან ავიცილოთ გაჟონვა და გამორეცხვა.

- არ გამოიყენება ტოქსიკური ინგრედიენტების შემცველი საღებავები ან გამხსნელები, ან ტყვიის შემცველი საღებავები.

მტვერი და გამონაბოლქვი

- ავტომანქანები უნდა შენარჩუნდეს ისეთ მდგომარეობაში, რომ მათი გამონაბოლქვი არ აწუხებდეს მუშებს ან ადგილობრივი მოსახლეობას;
- ზემოქმედების შესამცირებლად აქტივობები უნდა შესრულდეს სამუშაო საათების განმავლობაში – დღის სინათლეზე. ყველა ავტომანქანა შემოწმდება და საჭიროების შემთხვევაში გარემონტდება დაზიანებული ნაწილებით გამოწვეული ხმაურის დონის შესამცირებლად.
- ჩატარდება დიზელის ძრავების რეგულარული ტექნომსახურება მაგალითად, საწვავის ინჟექტორების დასუფთავება გამონაბოლქვის მინიმუმამდე შემცირების მიზნით. ყოველდღიური დათვალიერება მაღალი სტანდარტების დაცვით შესრულდება ავტომანქანების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და გამონაბოლქვის და ხმაურის მინიმუმამდე შესამცირებლად. სამშენებლო მოედანზე გამოყენებულ საამქროს რეგულარულად ჩაუტარდება ტექნომსახურება, რომ ყოველთვის კარგ მდგომარეობაში იყოს და პოტენციური დამაბინძურებელი ემისიები მინიმალური იყოს.

თუ კი საჭიროდ ჩაითვლება მშრალ პირობებში, ან სადაც მნიშვნელოვანი რაოდენობით მტვერი წარმოიშვება ან შეიძლება წარმოიშვას, მშენებლობის მენეჯერთან ერთად გამხორციელდება შემარბილებელი ღონისძიებები, რომლებიც მოიცავს:

- სამშენებლო მასალების გადაფარვის უზრუნველყოფა;
- მასალის გადაზიდვის განსაზღვრული გზების გამოყენება და მანქანის სიჩქარის შემცირება სადაც საჭიროა. მასალების ტრანსპორტირება სამშენებლო მოედანზე იწარმოებს არა– პიკის საათებში;
- სამშენებლო მოედანზე ტრანსპორტირებისას მასალები გადახურული/დანამული იქნება მტვერის წარმოქმნის შესამცირებლად. სამშენებლო მოედანი უნდა მოირწყას. მუშებს უნდა ჰქონდეთ დამცავი აღჭურვილობა. მანქანები შემოწმდება და გარემონტდება დაზიანებული ნაწილებით გამოწვეული გამონაბოლქვის შესამცირებლად.
- აგურების, თაბაშირის ბათქაშის და სხვ. მოშორების დროს წარმოქმნილი მტვერი უნდა შეკავდეს წყლის და/ან მტვერის ეკრანის მეშვეობით;
- გარემო (ტროტუარები, გზები) თავისუფალი უნდა იყოს ნამსხვრევებისა და მტვერისგან;
- დაუშვებელია ღია ცის ქვეშ ნარჩენების დაწვა;
- დაუშვებელია სამშენებლო მოედანზე მანქანების უმოქმედოდ დიდი ხნით დატოვება.

შემარბილებელი ღონისძიებები მოედანზე უსაფრთხოდ მისასვლელად

- სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად სათანადო საშუალებები იქნება უზრუნველყოფილი დაიცვას სასწავლო

პროცესი ბატონის ციხის ტერიტორიაზე მდებარე სკოლის ბავშვებისთვის. სკოლა სამშენებლო მოედნის გარეთ მდებარეობს. ბავშვებისა და სკოლის პერსონალის უსაფრთხო წვდომისთვის ბატონის ციხის გალავნის დასავლეთის ჭიშკართან გაკეთდება გასასვლელი, ხოლო სამშენებლო მოედნის გარშემო ბარიერები გამაფრთხილებელი ნიშნებით.

ექსპლუატაციის (ოპერირების) ფაზა

ნარჩენების მართვა

ტურისტების რაოდენობის გაზრდა ნარჩენების მოცულობის ზრდას გამოიწვევს. კონტეინერების რაოდენობა და მოცულობა რომლებიც ტურისტების თავშეყრის ცენტრებში განთავსდება შემდეგ ფაქტორებზეა დამოკიდებული: ტურისტების მოსალოდნელი რაოდენობა; ტერიტორიის ფართობი; მისასვლელი გზების არსებობა. გათვლების მიხედვით დადგინდა, რომ 300 მოსალოდნელ ტურისტზე ერთი 1,1 მ³ ტევადობის ლითონის კონტეინერი უნდა განთავსდეს. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ კონტეინერებს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 50 მ, ამავე დროს 1,1 მ³ ტევადობის კონტეინერები ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი მანქანებისთვის და უნდა არსებობდეს სივრცე მანევრირებისთვის. თუ ზემოაღნიშნული მოთხოვნები ვერ დაკმაყოფილდება, მცირე ზომის ადვილად გადასატანი 0,24 მ³ პლასტიკის კონტეინერები უნდა იყოს გამოყენებული. ამიტომ, რაოდენობა, ზომა და ადგილმდებარეობა ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს ცალკეული შემთხვევისთვის.

საჯარიმო სანქციების დაკისრების მოედნის დანაგვიანებისთვის

კონტეინერის განთავსებას არ ექნება რაიმე ხელშესახები შედეგი, თუ საჯარიმო სანქციები არ დაწესდება და შესრულდება. საჯარიმო მექანიზმების ეფექტურად განხორციელება მიზნების მიღწევა დააჩქარებს.

ტრანსპორტის მოძრაობა და ფეხით მოსიარულეთათვის ადგილზე წვდომა

საგზაო მოძრაობა გაიზრდება ბატონის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, ისევე როგორც თელავში, რაც გამოიწვევს გამონაბოლქვისა და ხმაურის დონის, ასევე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხების გაზრდას. შემარბილებელი ღონისძიებები იქნება:

- ავტოსადგომები უნდა მდებარეობდეს ბატონის ციხის უახლოეს ქუჩებსა და მოედნებზე თელავში. პარკირების ტერიტორია და ავტოსადგომები ისე უნდა იყოს განლაგებული, რომ მანქანებს და ავტობუსებს შეეძლოთ გაჩერება და უწყვეტი მანევრირება;
- სათანადო მართვის სამსახურები შეამცირებენ საცობებით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედებას, რასაც გაზრდილი გამონაბოლქვები და ხმაური მოსდევს კულტურული მემკვიდრეობის ტერიტორიაზე.
- ფეხით მოსიარულეთათვის მოეწყობს სათანადო ტროტუარები, გასასვლელები, აბრები ბატონის ციხის ირგვლივ.

წყალმომარაგება და კანალიზაცია

გაზრდილი ტურისტების რაოდენობა გაზრდის წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემებით სარგებლობის ინტენსიობას. ისეთი შემთხვევების გამოსარიცხად, რომლებიც წყლის დანაკარგების ან სისტემის მოშლას გამოიწვევს, საჭიროა საკანალიზაციო სისტემების სათანადო მართვა და მონიტორინგი ექსპლუატაციის პერიოდში.

6.2. მონიტორინგი

პროექტის მონიტორინგის გეგმა შეჯამებულია მონიტორინგის მატრიცაში. მონიტორინგის ღონისძიებები მოიცავს ადგილზე ზედამხედველობას, ნებართვების გადამოწმებას, კონტრაქტორის მუშაობისა და გარემოზე ზემოქმედების შესაბამისობის მონიტორინგს, როგორცაა: ხმაური, მტვერი, ნიადაგის და წყლის დაბინძურება და ემისიები და ა.შ.

პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის შესაძლებლობები გარემოსდაცვითი მონიტორინგის კუთხით დადებითად შეფასდა. პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის სამშენებლო ზედამხედველები და გარემოსდაცვითი და სოციალური სპეციალისტები პასუხისმგებელი არიან გარემოს მონიტორინგზე.

6.3. განხორციელება

სამშენებლო ფაზის გარემოსდაცვითი მართვის გეგმის კოორდინაციისა და განხორციელების საერთო პასუხისმგებლობა ეკისრება ფონდს. მას ევალება თანამშრომლობა ადგილობრივ გარემოსდაცვით ორგანოებთან, მუნიციპალიტეტებთან, ადგილობრივ თემთან და მშენებლობის გარემოსდაცვით საკითხებში ჩართულ კონტრაქტორებთან, გარემოსდაცვითი მართვის გეგმის და გარემოსდაცვითი რეგულაციების განხორციელებასთან დაკავშირებით.

ფონდმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი მოთხოვნების შესრულება: (i) საქართველოს გარემოსდაცვითი რეგულაციები; (ii) გარემოსდაცვითი ნებართვების მოპოვება; (iii) ნარჩენების განთავსება ლიცენზირებულ ადგილებზე; (iv) სხვა მოთხოვნები, რომლებიც დადგენილია საქართველოს გარემოსდაცვითი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ და შეთანხმებულია ფონდთან; (v) გარემოსდაცვითი მართვის და მონიტორინგის გეგმების განხორციელება.

6.4. განხორციელების ხარჯები

შემოთავაზებული ინდივიდუალური შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების ხარჯები დაბალია და რთულია მათი გამოყოფა სამშენებლო სამუშაოების ხარჯებისგან. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილია, რომ სატენდერო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ხარჯების ცხრილში შეტანილი იყოს ნარჩენების და ჭარბი მასალების განკარგვა. გარემოსდაცვის საუკეთესო პრაქტიკის დაცვის და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის შესრულების სხვა ხარჯები სავარაუდოდ ინტეგრირებული იქნება სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოების ფასწარმოქმნაში.

ნაწილი D: მონიტორინგის მართვის გეგმა

აქტივობა	რა (არის სამონიტორინგე პარამეტრი?)	სად (არის სამონიტორინგე პარამეტრი?)	როგორ (არის სამონიტორინგე პარამეტრი?)	როდის (განსაზღვრეთ სიხშირე /თუ უწყვეტად?)	რატომ (სრულდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ვინ (არის მონიტორინგზე პასუხისმგებელი ?)
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შექმნა ოფიციალურად რეგისტრირებულია / ლიცენზირებული მომწოდებლებისგან	მომწოდებლის ოფისში ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მიწოდების კონტრაქტების გაფორმების დროს	ტექნიკური საიმედოობისა და ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად	ფონდი, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება. სამშენებლო ტექნიკის მოძრაობა	ტრანსპორტისა და ტექნიკის ტექნიკური მდგომარეობა. სატვირთო ავტომობილების ბარგის დამაგრება და გადახურვა. ტრანსპორტირების დადგენილი მარშრუტისა და საათების დაცვა	სამშენებლო მოედანი	შემოწმება	გამოუცხადებელი ინსპექტირება სამუშაო დღის განმავლობაში და შემდეგ	ნიადაგის და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შეზღუდვა; ხმაურითა და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობისთვის მიყენებული დისკომფორტის შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხების მინიმუმამდე შემცირება	ფონდი, მშენებლობის ზედამხედველი, საგზაო პოლიცია
სარესტავრაციო სამუშაოები	NACHP მიერ დამტკიცებულ დიზაინთან შესაბამისობა	სამშენებლო მოედანი	შემოწმება	სარესტავრაციო სამუშაოების დროს	შენობის ისტორიული მახასიათებლების და მთლიანად ისტორიული ობიექტის დაზიანების პრევენცია	ფონდი, მშენებლობის ზედამხედველი, NACHP

აქტივობა	რა (არის სამონიტორინგე პარამეტრი?)	სად (არის სამონიტორინგე პარამეტრი?)	როგორ (არის სამონიტორინგე პარამეტრი?)	როდის (განსაზღვრეთ სიხშირე /თუ უწყვეტად?)	რატომ (სრულდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ვინ (არის მონიტორინგზე პასუხისმგებელი ?)
ინერტული მასალების მოძიება	<p>მასალის შესყიდვა არსებული მომწოდებლებისგან, თუ შესაძლებელია;</p> <p>ექსტრაქციის ლიცენზიის მიღება სამუშაო კონტრაქტით და ლიცენზიის პირობების მკაცრად დაცვა;</p> <p>კარიერის ტერიტორიის დატერასება, კარიერის ექსპლუატირებული ადგილების ამოვსება და ლანდშაფტის ჰარმონიზაცია;</p> <p>მდინარის ხრეშის და ქვიშის ამოთხრა ნაკადის გარეთ, ხრეშის დამცავი ბარიერების მოწყობა გათხრის ტერიტორიასა და მდინარეს შორის და არ იქნას დაშვებული მანქანების შსვლა წყალში</p>	ბურღვის ადგილები	დოკუმენტების შემოწმება. სამუშაოს შემოწმება.	მასალის ექსტრაქციის დროს	ფერდობების ეროზიის შეზღუდვა, ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დეგრადაციის შეზღუდვა; მდინარის ნაპირების ეროზიის, სუსპენზიური ნაწილაკებით წყლის დაბინძურების და წყლის სიცოცხლის მოშლის შეზღუდვა.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

აქტივობა	რა (არის სამონიტორინგე პარამეტრი?)	სად (არის სამონიტორინგე პარამეტრი?)	როგორ (არის სამონიტორინგე პარამეტრი?)	როდის (განსაზღვრეთ სიხშირე /თუ უწყვეტად?)	რატომ (სრულდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ვინ (არის მონიტორინგზე პასუხისმგებელი ?)
სამშენებლო ნარჩენების წარმოშობა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე; ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილზე;	სამშენებლო მოედანი; ნარჩენების განთავსების ადგილი	შემოწმება.	პერიოდულად მშენებლობის დროს და პროექტინჟინერების მიღებისას	მყარი ნარჩენებით სამშენებლო მოედნის და მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
მომრაობის დარღვევა და ფეხით მოსაირულეთ ათვის წვდომის შეზღუდვა	საგზაო მოძრაობის შეზღუდვის აბრების განთავსება; სამშენებლო მასალების შენახვა და სამშენებლო ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან ავიცილოთ მისასვლელი გზების ჩახერგვა	სამშენებლო მოედანზე და მიდამოებში	შემოწმება.	მშენებლობის დროს	ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენცია; ადგილობრივი მოსახლეობისთვის მიყენებული დისკომფორტის შეზღუდვა;	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების უზრუნველყოფა უნიფორმებით და დამცავი აღჭურვილობით მუშების და პერსონალის ინფორმირება პირადი უსაფრთხოების წესებისა და ინსტრუქციების შესახებ, მანქანა / დანადგარების ფუნქციონირებისთვის; ამ წესების / ინსტრუქციების მკაცრი დაცვა,	სამშენებლო მოედანი	შემოწმება.	გამოუცხადებელი ინსპექტირება მუშაობის დროს	სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევების და ავარიების შეზღუდვა;	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

აქტივობა	რა (არის სამონიტორინგე პარამეტრი?)	სად (არის სამონიტორინგე პარამეტრი?)	როგორ (არის სამონიტორინგე პარამეტრი?)	როდის (განსაზღვრეთ სიხშირე /თუ უწყვეტად?)	რატომ (სრულდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ვინ (არის მონიტორინგზე პასუხისმგებელი ?)
ექსპლუატაციის ფაზა						
ბატონის ციხის ნაგებობის მართვა	საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა; წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის ტექნიკური მომსახურება; ახალი ფიზიკური კონსტრუქციების მონტაჟის და ინფრასტრუქტურის კონტროლი ობიექტის ფარგლებში	ბატონის ციხის ობიექტი	შემოწმება.	ნაგებობის ექსპლუატაციის დროს	ობიექტის დანაგვიანების პრევენცია შადრევენების, საზოგადოებრივი ტუალეტის და კომუნალური მომსახურების არსებული გაუმართაობა ადმინისტრაციულ შენობებში ობიექტის ისტორიული და ესთეტიკური ღირებულების შენარჩუნება	თელავის ისტორიის მუზეუმის ადმინისტრაცია თელავის მუნიციპალიტეტი
ბატონის ციხეში ვიზიტების მართვა	ობიექტის მართვის გეგმის შემუშავება და განხორციელება	ბატონის ციხის ობიექტი	შემოწმება.	აღდგენილი ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლამდე და ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში	ობიექტის ხალხით გადაჭედვის და ვიზიტორების უკმაყოფილების პრევენცია	თელავის ისტორიის მუზეუმის ადმინისტრაცია

დაბართი 1: საჯარო განხილვის ოქმი

6 ოქტომბერი, 2014 წელი
ქალაქი თელავი, საქართველო

საჯარო განხილვის ოქმი

რეგიონული განვითარების პროექტი (RDP)

ერეკლე II-ის სასახლის (ბატონის ციხე, თელავი) რესტავრაციის ქვე-პროექტი

გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტის საჯარო განხილვა

2014 წლის 6 ოქტომბერს ქალაქ თელავში, გაიმართა, ერეკლე II-ის სასახლის (ბატონის ციხე, თელავი) რესტავრაციის ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტის საჯარო განხილვა.

შეხვედრა ჩატარდა თელავში არსებულ დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში და მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი/დადებითი ზეგავლენის და მათი თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ქალაქ თელავის მერიის წარმომადგენლები:

გაგნიძე ვახტანგი, ყუშიტაშვილი ფიქრია, კიკნაძე გიორგი, ელენე ღარიბაშვილი, ეკატერინე ობოლაძე, მაგული ჭარბაძე, ოთარ მდივნიშვილი,

ქ. თელავის მკვიდრნი:

მარიამ მარელაშვილი, ასმათ ტეტიაშვილი, მაკა ვალაშვილი, მაყვალა არაბული, მაყვალა წიკლაური, ლია მუმლაური.

მერი ზაალიშვილი - ჟურნალისტი;

ლიკა იმერლიშვილი - დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი/USAID

ზაალ მეღვინეთუხუცესი - პროექტის ავტორი;

ბიწაძე პაატა - შპს „ჯორჯიან ინჟინერინგი“;

„გამა კონსალტინგის“-წარმომადგენლები:

ალექსანდრე ბალახაშვილი, ზურაბ მგალობლიშვილი.

საერთაშორისო საზედამხედველო კომპანია „სტეგეტის“-წარმომადგენლები:

ზურაბ კვიციანი, პატრიცია ჯაკომელი, კახაბერ ჯანგულაშვილი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:

ნინო ჯანგულაშვილი- გარემოსდაცვითი მონიტორინგის სპეციალისტი;

თამარ ქარდავა-ბენეფიციარებთან ურთიერთობის სპეციალისტი.

შეხვედრა გახსნა ნინო ჯანგულაშვილმა და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ინფორმაცია ქვე-პროექტების მიზნებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესახებ. მან საზოგადოებას გააცნო ქვე-პროექტისათვის მომზადებული გარემოსდაცვითი მიმოხილვის დოკუმენტი და მასზე თანდართული გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა, მოკლედ აუხსნა საზოგადოებას მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ქვე-პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნები მოცემული პროექტისათვის, მიმოიხილა ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები, ამ სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელი სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენა (დადებითი/უარყოფითი) არსებულ გარემოზე და ის ძირითადი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია სავარაუდო უარყოფითი ეფექტების თავიდან ასაცილებლად ან მათ შესარბილებლად.

ნ. ჯანგულაშვილმა ისაუბრა გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტის შინაარსსა და სტრუქტურაზე, გარემოსდაცვითი მართვის ღონისძიებების გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე, მშენებელი კონტრაქტორის ვალდებულებებზე და ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი მართვის გეგმა არის მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და კონტრაქტორს ევალება ზედმიწევნით შეასრულოს გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები.

შეხვედრის დასასრულს ნ. ჯანგულაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, ვისაც საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ და მიაწოდონ ინფორმაცია გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რაიმე სახის უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საზოგადოებას საშუალება მიეცა გამოეთქვა საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები	პასუხები და კომენტარები
გამომდინარე იქიდან, რომ სამშენებლო ტერიტორიასთან ახლოს მდებარეობს სკოლა, მოსახლეობამ გამოთქვა ინტერესი თუ როგორ მოხდებოდა უსაფრთხოების ზომების დაცვა?	კონტრაქტორს ევალება უზრუნველყოს სამშენებლო ტერიტორიაზე უსაფრთხოების მაქსიმალური ზომების დაცვა, სამშენებლო მოედანი შემოიღობება, დაყენდება საინფორმაციო

	და გამაფრთხილებელი ნიშნები, ობიექტს დაიცავს შესაბამისი დაცვის სამსახური.
როგორ მოხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა სამშენებლო ტერიტორიიდან?	კონტრაქტორი ვალდებულია ადგილობრივ დასუფთავების სამსახურს და შპს „მყარი ნარჩენების კომპანიას“ დაუდოს კონტრაქტი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით, რათა დროულად მოხდეს სამშენებლო ტერიტორიის დასუფთავება.
სარესტავრაციო სამუშაოები ხელს ხომ არ შეუშლის ობიექტის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესიაში მრევლისა და სამღვდელთა პირების მიმოსვლას?	მსგავსი ტიპის შეზღუდვა მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან ერეკლე II -ის სასახლის ტერიტორიაზე არის საკმარისი ფართობი იმისათვის, რომ შემოიფარგლოს სამშენებლო სამუშაოების არეალი და ასევე განისაზღვროს სამომხრო არეალი ეკლესიაში მიმსვლელი პირებისთვის.
როდის იგეგმება სამშენებლო სამუშაოების დაწყება?	მიმდინარეობს სამშენებლო კომპანიის შერჩევა და უახლოეს პერიოდში მოხდება სამშენებლო კომპანიის მობილიზაცია და სამშენებლო სამუშაოების დაწყება.

შეხვედრის დასასრულს შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებამ გამოხატა დადებითი დამოკიდებულება პროექტის განხორციელების მიმართ და გამოთქვეს იმედი რომ ერეკლე II-ის სასახლის რესტავრაციის ქვე-პროექტი დასრულდება დროულად, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში ტურისტული პოტენციალის გაზრდას.

შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცელის ასლი თანდართულია.

ოქმი მომზადებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოსდაცვითი სპეციალისტის ნინო ჯანგულაშვილის მიერ.

ფოტოები:



დამსწრეთა სია:

ქახეთის რეგიონული განვითარების პროექტი/ Regional Development Project (RDP)- Kakheti
 ქვეპროექტი: ერეკლე II სასახლის (ბატონის ციხე, თელავი) რესტავრაციის ქვეპროექტი
 Sub-Project: **Restoration of King Erekle II Palace (BatonisTsikhe Fortress, Telavi)**
 გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტის საჯარო განხილვა/ Public Hearing of ER

06.10.2014 თელავი/Telavi
 დამსწრეთა სია/List of Attendance

#	გვარი, სახელი/ Name	ორგანიზაცია/ Organization	საკონტაქტო ინფორმაცია/ Contact information	ხელმოწერა/ Signature
1	2	3	4	5
1	შინაძე ნინო	გაიფიანის მუნიციპალიტეტი	568-77-27-03	
2	გუგუნიძე ანდრე	თელავის მუნიციპალიტეტი	570-70-42-25	
3	მელიქიანი ნინო	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	591 93-81-45	
4	სურგულაძის გამზ. 10	თელავის მუნიციპალიტეტი	599 857741	
5	კ.ოპიჯ. 10/საქ	თელავის მუნიციპალიტეტი	599 507404	
6	თელავის მუნიციპალიტეტი	თელავის მუნიციპალიტეტი	508 810851	
7	მერიის გამართვა	თელავის მუნიციპალიტეტი	27-18-33	
8	და. მელიქიანი	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	97-11-10	
9	თელავის მუნიციპალიტეტი	თელავის მუნიციპალიტეტი	599 551739	
10	მელიქიანი ნინო	თელავის მუნიციპალიტეტი	599-14-86-85	

WB/RDP KAKHETI/Telavi

დამსწრეთა სია/List of Attendance

#	გვარი, სახელი/ Name	ორგანიზაცია/ Organization	საკონტაქტო ინფორმაცია/ Contact information	ხელმოწერა/ Signature
1	2	3	4	5
11	ნათქაძე დავითი	თელავის მუნიციპალიტეტი	595 555 244	
12	მინაძე მარგარიტა	თელავის მუნიციპალიტეტი	599 201041	
13	მელიქიძე ირაკლი	თელავის მუნიციპალიტეტი	555 813155	
14	შაველა ნინო	თელავის მუნიციპალიტეტი	555-217-412	
15	შაველა ანა	თელავის მუნიციპალიტეტი	593-22-63-73	
16	შაველა ნინო	თელავის მუნიციპალიტეტი	593-50-9041	
17	ვახტანგ თევზაძე	UNEP/GEF	599 188 123	
18	ვახტანგ თევზაძე	საერთაშორისო გარემოსდაცემი ორგანიზაცია	599 10 29 24	
19	ვახტანგ თევზაძე	საერთაშორისო გარემოსდაცემი ორგანიზაცია	599 50 44 34	
20	Zurab Kviriashvili	STEGEET	577774003	
21	PATRIZIA GIACOMELLI	STEGEET	571404200	
22	STEGEET	საერთაშორისო გარემოსდაცემი ორგანიზაცია	599 230 763	

